ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №13

3 მაისი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

წევრები- ოთარ გრიგოლია,ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, დავით ფარცვანია, აკაკი ალადაშვილი.

სხდომა თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლევან არველაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(საკრ.№15032211996-03; 11-01221193368; საკრ.№15-032211781-03;11-01221172107; საკრ.№15-03221173-03; 11-01221162778)

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანის, ნაძალადევის და კრწანისის რაიონული გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილება მათთვის მიკუთვნებული პროგრამა/ქვეპროგრამებში.

კერძოდ:

გლდანის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში (პროგრამული კოდი 01 01 08) მეორე კვარტალში ემატება 750 000 ლარი, მესამე და მეოთხე კვრატლებიდან, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 09 10) მეორე კვარტალში ემატება 100 000 ლარი, მესამე კვარტლიდან. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ დასრულდა ინფრასრუქტურული და გამწვანების პროექტების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები და მეორე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული რესურსი საკმარისი არ არის.

კრწანისის რაიონის გამგეობა უამინდობის გამო ვერ ახერხებს „კეთილმოწყობის ღონისძიებების" არაფინანსური აქტივების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და აღნიშნული მუხლიდან 105 000 ლარი გადააქვს სხვა მუხლში.

ნაძალადევის რაიონის გამგეობას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებოს განვითარების ხელშეწყობის „ პროგრამაში, მეორე კვარტალში დამატებით ესაჭიროება 106 500 ლარი, 5 ლიფტის შეკეთებისათვის. აღნიშნული თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

ასევე იზრდება „ კომუნალური სუბსიდირების" (პროგრამული კოდი 06 02 01) პირველი კვარტლის გეგმა 855 000 ლარით (თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან), რაც გამოწვეულია პროგრამით მოსარგებლე

ბენეფიციართა რაოდენობრივი ზრდით, ხოლო სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 10 22) პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 1 000 000 ლარით (თანხის გადმოტანა ხდება მესამე კვარტლიდან).

ლევან მიქავას განმარტებით, უკრაინიდან ლტოლვილთა სასტუმროსა და კვების ხარჯების ასანაზღაურებლად, სარეზევო ფონდის ასიგნებები საკმარისი არ არის, ამ ეტაპზე ხდება თანხის გადმოტანა მესამე კვრატლიდან და სავარაუდოდ საჭირო გახდება დაახლოებით 3 000 000 ლარის დამატება აღნიშნულ პროგრამაში.

აღნიშნული ცვლილებების, ჯამში 2 811 500 ლარის დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის, ნაძალადევის და კრწანისის რაიონული გამგეობები, ასევე საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას და სარეზერვო ფინდის კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი- ლევან არველაძე